

რეკონსტრუქციის კალენდარული გეგმა

[illegible]

**სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნერბეთში არსებული ყოფილი
სკოლის შენობის რეკონსტრუქციის**

**ორგანიზების პროექტის
ბანმართებითი ბარათი**

პროექტით გათვალისწინებულია სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ყოფილი სკოლის შენობის რეკონსტრუქცია, ს/კ 30.10.31.315 . სამუშაო დოკუმენტის პროექტის მშენებლობის ორგანიზების პროექტი შედგენილია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მიხედვით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის, სამშენებლო ნორმებისა და წესების ს. ნ. და წ. 3.01.01-85 „მშენებლობის ორგანიზების“ მოთხოვნების მიხედვით და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესის“ მოთხოვნების მიხედვით.

რეკონსტრუქცია უნდა განხორციელდეს ტექნოლოგიური თანმიმდევრობით კალენდარული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. დაუშვებელია დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციის გადაწყვეტილებებიდან გადახვევა მათი დამუშავებულ და დამამტკიცებელ ორგანიზაციებთან შეთანხმების გარეშე.

მშენებლობისათვის საჭირო ელექტრო მომარაგება, წყალმომარაგება და კანალიზაცია უნდა განხორციელდეს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ქსელებიდან შესაბამის ორგანოებთან შეთანხმების საფუძველზე. წყლის ხარჯის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს სამეურნეო სასმელი, საწარმოო და ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნებისათვის საჭირო წყლის რაოდენობა.

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შესადგენად წარმოდგენილია:

- 1 საკადასტრო გეგმა
- 2 სამშენებლო დოკუმენტის პროექტი

**მშენებლობისათვის საჭირო პირობების
და ობიექტის დახასიათება**

მშენებლობა მიმდინარეობს ქ. ბაღდათის მიმდებარედ სამშენებლო კლიმატოლოგიის ნორმები (პნ 01-05-08) მოიცავს კლიმატურ პარამეტრებს, რომელთა გათვალისწინება საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გადაწყვეტის დროს.

აღნიშნულ ტერიტორიაზე გრუნტის სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე 0.4მ

1. თოვლის საფარის მაქსიმალური წონა 50კგ/მ²
2. მაქსიმალური ტემპერატურე ზაფხულში +37⁰C, მინიმალური ზამთრის -4⁰C
3. ქარის ნორმატიული დატვირთვა -85კგ/მ²

4. საქართველოს სეისმური დარაიონების მიხედვით აღნიშნული ადგილი იმყოფება 8 ბალიან სეისმურ ზონაში, საქართველოს ეკონომიკური გავითარების მინისტრიეს 2009 წლის 7 ოქტომბრის ბრძ. №1-2284 ს.ნ. და წ. დანართი „სეისმოპედები მშენებლობა“-ს საფუძველზე.

წარმოდგენილი მასალების მიხედვით მშენებლობა თანახმად საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მუხლი 5 და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 7 ივნისის №269 დადგენილებით მშენებლობა მიეკუთვნება II კლასს.

1. საპროექტო შენობის მოშენების ფართია -230.0 მ²

2. საპროექტო შენობის მაქსიმალური სიმაღლე – 8.5მ

რეკონსტრუქციის ხანგრძლივობა განისაზღვროს ერთი წელითა და ექვსი თვით (დამკვეთი თხოვნით). თანახმად ს.ნ. და წ. 1.04.03.85-ის მშენებლობის ნორმების საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების მშენებლობის ნორმების პირობების გათვალისწინებით.

რეკონსტრუქციის საწარმოებლად შესასრულებელია შემდეგი სამუშაოები:

1. სახურავის მოხსნა
2. მეორე სართულის ტიხრების დემონტაჟი
3. სართულშუა იატაკის დემონტაჟი
4. საძირკვლის მოწყობის სამუშაოები
5. სვეტებისა და რიგელების მოწყობა
6. სართულშუა რკ/ბეტონის ფილის მოწყობა
7. სამშენებლო ბლოკის ტიხრის კედლების ამოყვანა II სართულზე
8. არსებულ კედელზე სარტყელის მოწყობა
9. სახურავის მოწყობა
10. ღესვითი სამუშაოები
11. არსებულ ღიობებში მეტალოპლასმასის ფანჯრების და კარების მოწყობა
12. ტერიტორიის კეთილმოწყობა.

სამშენებლო მოედანზე სამუშაოები ორგანიზებული უნდა იყოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მშენებლობის უსაფრთხოება საქართველოს მთავრობის №-361 27.05.2014 დადგენილებით „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ და ს.ნ. და წ. III-4-80 მიხედვით.

მუშების ჰიგიენური დაცვისა და შრომის სწორი ორგანიზებისათვის სამშენებლო მოედანზე უნდა მოხდეს ტერიტორიის შემოღობვა „კიბის უჯრედების, შესასვლელების გადახურვა რათა დაცული იყვნენ ეზოში მომუშავე პირები. სამშენებლო მოედანზე საჭიროა დაცული იქნას ყველა ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები თანახმად „სანძარსაწინააღმდეგო ნორმები სამშენებლო-სამონტაჟო“ სამუშაოების შესრულებისას ს.ნ. და წ.

2.01.02.-91-ის მიხედვით. დამტკიცებული სახანძრო დაცვის მთავარი სამმართველოს მიერ ყველა თვითმზიდი მანქანები და მექანიზმები, აგრეთვე ელექტროფიცირებული ინსტრუმენტები აუცილებელია საიმედოდ იქნას დამიწებული.

მშენებლობა უნდა განხორციელდეს ტექნოლოგიური თანმიმდევრობით კალენდარული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. დაუშვებელია დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციის გადაწყვეტილებებიდან გადახვევა მათი დამამუშავებელი და დამამტკიცებელი ორგანოებთან შეთანხმის გარეშე.

მშენებლობისათვის საჭირო ელექტრო მომარეგება, წყალმომარაგება და კანალიზაცია უნდა განხორციელდეს შესაბამის ორგანოებთან შეთანხმების საფუძველზე. წყლის ხარჯვის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს სამეურნეო, სასმელი, საწარმოო და ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნებისათვის საჭირო წყლის რაოდენობა.

წყლის წყაროებთან და სახანძრო კიბეებთან მისასვლელი გზები, მისასვლელები და გასასვლელები უნდა იყოს მოწესრიგებული და თავისუფალი სახანძრო ტექნიკის მისასვლელად.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება მუხლი 20 ქვეთავის 6 მშენებლობის განხორციელების ძირითადი რიგი სამუშაოები და ეტაპები პუნქტი 1 შენობა-ნაგებობების მშენებლობის განხორციელების ძირითადი რიგი სამუშაოები იყოფა შემდეგ ეტაპებად.

1. საძირკვლის მოწყობის სამუშაოების ფარული სამუშაოების აქტი
2. ძირითადი კონსტრუქციების მოწყობის ფარული სამუშაოების აქტი
3. გადახურვის მოწყობის ფარული სამუშაოების აქტი

შეადგინა:



ა. იოსებაშვილი